

**მელიანდაგე - 040667
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

ლიანდაგი არის რკინიგზის აუცილებელი, ძირითადი და საპასუხისმგებლო ნაწილი. ლიანდაგის გამართულ მდგომარეობაში შენახვა არის სალიანდაგო მეურნეობის სფეროს ძირითადი ფუნქცია. სალიანდაგო მეურნეობა აწარმოებს რკინიგზის ლიანდაგის ზედა და ქვედა ნაშენის, ხელოვნური ნაგებობების, მიმდინარე მოვლა-შენახვას და შეკეთებას (აწვევით, საშუალოს და კაპიტალურს).

II. დასაქმების სფერო

მელიანდაგე არის პერსონალი, რომელიც სალიანდაგო მეურნეობის საწარმოებში და უშუალოდ ლიანდაგზე აწარმოებს ლიანდაგის ზედა და ქვედა ნაშენის, ხელოვნური ნაგებობების მუდმივ მონიტორინგს; მიმდინარე მოვლა-შენახვას და შეკეთებას; პერიოდულად ამოწმებს ლიანდაგის ზომებს; ემსახურება რელსშემდღებელ და აღმდგენ მატარებლებს; მონაწილეობს ახალ და მეორე ლიანდაგის მშენებლობით სამუშაოებში. გარდა ამისა, იგი შეიძლება დასაქმებულ იქნას სხვა სამშენებლო სამუშაოებში, როგორც რკინიგზაზე, ისე სამოქალაქო სფეროშიც.

III. დამატებითი მოთხოვნები

მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მელიანდაგის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი. თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მელიანდაგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 90 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მელიანდაგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მელიანდაგის მოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მელიანდაგის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მელიანდაგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მელიანდაგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV მელიანდაგის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

მელიანდაგის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის: დარგთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ინსტრუმენტები, პროცესები, აღჭურვილობა და მასალები. იცის: ექსპლუატაციის და უსაფრთხოების წესები, სიგნალიზაციისა და მატარებელთა მოძრაობის ინსტრუქციები საფეხურის შესაბამისი მოცულობით; სალიანდაგო ინსტრუმენტების და მექანიზმების დანიშნულება და გამოყენება; ლიანდაგის ნორმალური მდგომარეობიდან გადახრის ნიშნების აღმოჩენა და მათი აღმოფხვრის ხერხები;</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია: გამოიყენოს დარგის (ქვედარგის) სპეციფიკიდან გამომდინარე უნარების ფართე სპექტრი: ღრეჩოების რეგულირება სარელსო ლიანდაგის გაწყვეტის გარეშე; უპირაპირო ლიანდაგის (შეზუსტება) რეხტირება 10 მმ-მდე სიდიდით; არაცენტრალიზირებული საისრო გადამყვანების ცალკეული ელემენტებისა და რელსების ერთეული ცვლა; ზესადებების ან იზოლირებული პირაპირის იზოლაციის ელემენტების ცვლა; ლიანდაგის გადაკერვა ერთდროულად სამზე მეტი მომიჯნავე შპალის ბოლოს გახსნით; ლიანდაგის გადაკერვა P- 50 და უფრო მძიმე ტიპის რელსების შემთხვევაში მოჭიმვი ხელსაწყოების გამოყენებით ერთდროულად ექვსზე მეტი მომიჯნავე შპალის ბოლოს გახსნით სწორ უბნებში და მრუდში შიგა ძაფზე, ხოლო გარე ძაფზე სამზე მეტი მომიჯნავე შპალის ბოლოს გახსნით; ზამთარში ისრულ გადამყვანებში პნევმატური შემოქრევის და ელექტროგამთბობი არმატურის მონტაჟი; რელსის ბოლოების დადუღება; ისრული გადამყვანის ჯვარედების დადუღება; შპალების ერთეული ცვლა;სალიანდაგო მანქანებზე მუშაობა;</p>

დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა; ინფორმაციის შეფასება და ანალიზი რის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას რაიმე დეტალის (ელემენტის) შეკეთების ან შეცვლის შესახებ.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში; ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს - ტექნიკურ ჟურნალებს, ცნობარებს და ინტერნეტს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება -საჭირო მასალის მოძიება უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება	შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება _ დამოუკიდებლად იღრმავებს ცოდნას დამატებით მოძიებული ლიტერატურით.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად განსხვავებულ სიტუაციებში.

მელიანდაგის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს	იცის: მათემატიკიდან - წარმოებული და ინტეგრალი დარღვეულ მრუდის გასწორების გასაანგარიშებლად; ხაზვა - მარტივი დეტალების ნახაზების წასაკითხად; გამოყენებითი მექანიკიდან - რელსებში დინამიკური ძაბვების წარმოშობის ახსნა; ხელოვნური ნაგებობებიდან - ხიდები, გვირაბები, მილები, გალერეები, წყალმომცილებელი ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტებზე წარმოდგენა. სალიანდაგო მექანიზმები და ინსტრუმენტები სწორში, მრუდში, სადგურებზე და სალიანდაგის მოწყობის თავისებურებები. სალიანდაგო ინსტრუმენტებთან და მექანიზმებთან მუშაობა. კომპიუტერული ტექნოლოგიებიდან - სალიანდაგო სამუშაოთა დაგეგმვა და გაანგარიშება; დარგთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ინსტრუმენტები,
-----------------------	--	--

		<p>პროცესები, აღჭურვილობა, მასალები, სამუშაოთა შესრულება და მოქმედების პრინციპი; მიმდინარე მოვლა-შენახვისა და შეკეთების ორგანიზება; ინსტრუმენტების და მექანიზმების მოვლა-შენახვის ორგანიზება; მანქანა-მექანიზმების აგებულება და მათი მუშაობის პრინციპები; დარგის შრომის კანონმდებლობა; მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო-სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები და ნორმები; ეკოლოგიური უსაფრთხოების პირობები;</p> <p>აცნობიერებს გარკვეულ პასუხისმგებლობას შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და მის გაუმჯობესებაზე.</p>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია:</p> <p>დრეწობის რეგულირება სარელსო ლიანდაგის გაწყვეტის გარეშე; ისრულ გადამყვანებში ჯვარედების ცვლა; სამუშაოების ჩატარება მიწის ვაკისზე და ხელოვნურ ნაგებობებზე მათი მთლიანობის დარღვევის გარეშე; დეწობის რეგულირება სარელსო ძაფის გაწყვეტის გარეშე; გადამყვანი ძელების მთლიანი ცვლა; ტემპერატურული ძაბვების მოხსნა უპირაპირო ლიანდაგზე; ლიანდაგის გასწორება ნაბურცებზე; ზამთარში ისრული გადამყვანის გადაკერვა; განივი სადრენაჟო ჩაჭრების გაკეთება; ღორღის ბალასტის გაწმენდა საშპალო ყუთების ქვეშ 10 სმ-ზე და ქვევით; პროფესიული ცოდნის და გამოცდილების სხვისთვის გადაცემა.</p>
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი</p>	<p>შეუძლია ცვალებად სიტუაციებში პრობლემების წამოჭრისას მიიღოს დასკვნა მათ გადასაწყვეტად; გარკვეული სამუშაოს ჯგუფური შესრულებისას ზედამხედველობა გაუწიოს და შეაფასოს მასზე დაქვემდებარებულ პირთა საქმიანობა და მიიღოს გადაწყვეტილება ამ სამუშაოთა გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ;</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებულ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება</p>	<p>შეუძლია ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციების დამაჯერებლად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გაცნობიერება; უცხო ენაზე არსებული ლიტერატურის მოძიება და გაცნობა.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში</p>	<p>შეუძლია საკუთარი ინიციატივით ცოდნის გაღრმავება; სისტემატიურად ეცნობა მოწინავე ტექნოლოგიებს და ტექნიკურ სიახლეებს, სარგებლობს ლიტერატურით.</p>
ღირებულებები	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის</p>

	<p>პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად</p>	<p>დამახასიათებელი ღირებულებებისადმი (სიფრთხილე, ყურადღება, სიზუსტე, პროფესიული ცოდნის გაღრმავებისკენ სწრაფვა).</p>
--	--	---

მელიანდაგის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს)</p>	<p>იცის: დარგთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ინსტრუმენტები, პროცესები, აღჭურვილობა, მასალები, სამუშაოთა შესრულება; მიმდინარე მოვლა-შენახვისა და შეკეთების ორგანიზება; ინსტრუმენტების და მექანიზმების მოვლა-შენახვის ორგანიზება; მანქანა-მექანიზმების აგებულება და მათი მუშაობის პრინციპები; წარმოების ორგანიზაციის, შრომისა და მართვის საფუძვლები; დარგის შრომის კანონმდებლობა; მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო-სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები და ნორმები; ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები. აცნობიერებს პროფესიული ცოდნის დამოუკიდებლად განახლების აუცილებლობას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადაწყვეტა</p>	<p>გამოიყენოს დარგის (ქვედარგის) სპეციფიკიდან გამომდინარე უნარების ფართე სპექტრი: ღრეჩოების რეგულირება სარელსო ლიანდაგის გაწყვეტის გარეშე და გაწყვეტით; ისრულ გადამყვანებში ჯვარების ცვლა; სამუშაოების ჩატარება მიწის ვაკისზე და ხელოვნურ ნაგებობებზე მათი მთლიანობის დარღვევის გარეშე; უწყვეტობის აღმოფხვრა გვირაბებში; ღრეჩოების რეგულირება სარელსო ძაფის გაწყვეტით; გადამყვანი ძელების მთლიანი ცვლა; ტემპერატურული ძაბვების მოხსნა უპირაპირო ლიანდაგზე; ლიანდაგის გასწორება ნაბურცებზე; ისრული გადამყვანის გადაკერვა; სახიდე ძელების მთლიანი ცვლა 50 მ-მდე ხიდებზე; განივი სადრენაჟო ჩაჭრების გაკეთება; პროფესიული ცოდნის და გამოცდილების სხვისთვის გადაცემა.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება</p>	<p>შეუძლია წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების გამოყენება, ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი</p>

	<p>თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა</p>	<p>ინფორმაციის გამოყენებით. შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის შედეგების შეფასება, სწავლის შემდგომი საჭიროების განსაზღვრა და მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება. სისტემატურად ეცნობა მოწინავე ტექნოლოგიებს და ტექნიკურ სიახლეებს პერიოდული ჟურნალებით და ინტერნეტით. დამოუკიდებლად იღრმავებს ცოდნას დამატებით მოძიებული ლიტერატურით.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოუკიდებლობას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოუკიდებლობას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი (სიფრთხილე, ყურადღება, სიზუსტე, პროფესიული ცოდნის გაღრმავებისკენ სწრაფვა) და უზიარებს სხვებს.</p>